

թ. Հանճըլո

Առնելու սեփական

2. ՀՅ



Jan 2, 1963 -

333-25027502 20843180

## Եւանցուրմէ Հովհաննես-

029493



Աղոթական Թ. ՋՈՒՆԿԱՐԱ-ՑԻԿ Ճ. Յ. Տուխար. Ծովագործ:  
"ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ԲՈՒԺԱԿԱՆ ՎԻՃԱԿԻ 1896 թ." 1896 թ.

କାନ୍ତିର ପାଦମଣିର ପାଦମଣି

S. 260

დამატება.

კაკ-ელისენში შეკრებილი სიცყვები, რომელთაგან  
ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და  
ზოგი გადასხვათერებით იხმარება.

### ჩართველები და ჩართული ენა. \*)

ყველანი იმას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდი-  
დარი ენააო, მდიდარია არა-თუ მარტო თავისის საგრამატი-  
კო ფორმებით, არამედ ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი  
თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არავინ არა  
ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვა-  
ცნობოს მისი. მშვენიერება, ფვალ-წინ გალაგვიშალოს ის საუნ-  
ჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლო-  
ბაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებამა და ჭკუამ.  
უეჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქარ-  
თველთა წარმატებისა და წინსვლის საქმეს და თვით მშრომე-  
ლისაც საპატიო ადგილს მოუპოვებს საქართველოს მოღვაწეთა  
შორის. რომელიმე ენის სულისა და გულის შემეცნება დიდი  
ლვაწლია, ვინაიდგან ამ შემეცნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი  
და მუყაითი შრომა, ფიქრი, განუწყვეტელი ჩხრეკა-ძიება, ბე-  
ჯითი შესწავლა ძველის ხელთ-ნაწერებისა, შედარება და შე-  
თანხმება სხვა-და-სხვა კუთხის სიტყვებისა და ამავე კუთხეებში  
დაშორენილ სიტყვა-ფრაზების გამომზევება და სხვა.

\*) ეს წერილი შარშან დავბეჭდეთ „ივერიაში“ და დღეს  
ვურთავთ კაკ-ელისენში შეკრებილ სიტყვათა წინასიტყვაობად.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თვისის წინმსვლელობის დროს, მრავალი სიტყვა არ გაჰქვავებოდეს და ამ გაქვავებულ-გაუქმებულ სიტყვათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის) სიტყვა არ შემოედოს ხმარებაში. ხოლო შემჩნეულია, რომ მრავალი სიტყვა, რომელიც შემდეგ თაობას აღარ ესმის, წინანდელ თაობისათვის ყველა ესეთი სიტყვები გასაგები ყოფილა და მაშინ არც ერთი სიტყვა, აღმნიშვნელი რომელიმე ცნებისა, გაუგებარი და ანუ გაქვავებული არ ყოფილა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით უმეტეს ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორიც ქართული ენა, რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2500 წლის ისტორია.

სიტყვების გაქვავება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია მრავალ გარემოებებზედ, რომელთაგან უაღრესნი არიან: ერთისა და იმავე ტომ-მოდგმის წარმომადგენელთა შორის მრ-სვლა-მოსვლის სიძნელე და მწერლობის უქონლობა. მისვლა-მოსვლის სიძნელე დამოკიდებულია გვარ-ტომის აღგილ-სამყოფელოს გეოგრაფიულ შენობაზედ: მაგარი და შეუვალი ხევები, ლელეები, დიდი მთები, უგზოობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სხ. დიდად აბრკოლებენ ცივილიზაცია-კულტურის მოფენას ქვეყანაში და აფერხებენ აგრეთვე ინის ძლევა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულ-ში. ამისთანა ყოფაში სიტყვების გაქვავება, ენის კილო-კავებად დაყოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია თავისი აზრისა, ფიქრისა და მისწრაფების. გამოსახატველი ნი-შნები—ანბანი და ვერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე, ამ ყოფაში არის დღეს ლეკური ენა, რომელიც მისვლა-მოსვლის სიძნელისა და მწერლობის უქონლობისა გამო გადა-შლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის დალისტნის, ახალს პომიროსს ანუ ჰეროდოტეს, რომ ეს ლეკური კილო-კა-

ვები ისევ შეიკრას, დაზუვდეს, შეილიოს და აღჩქაფდეს საერთო ლეკურ ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქცავებულ სიტყვათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერთო ენისათვის; როგორც რომელიმე მდინარე დიდება თავისი ნაკადულების შემწეობით ისე უნაც, თავისის წინ სვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თვისის კილო-კავებიდამოკ უამისოდ იგი დიდ მანძილს ვეღარ გაივლის, საფანელი შემოაჭლდება, გალატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს, რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკადულების სიცოტავისა გამო, ზღვამდის ვეღარ უწევსო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ჯერ ისევ ქრისტეს წინა დროსვე ჰქონია წირის ნიშნები და მერე დაუარსებია თავისს ენაზედ უმდიდრესი ლიტერატურა, მაინც, ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ჩვენში დაშთენილია მრავალი კუთხე, საცაამირანისებურად და ხელ-უხლებლად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა, აუარებელი საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანიჭამცხე, ქიზიყი და კაჭ-ელისენ-ჭარი და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც აღგილობრივი იხმარება და საერთოდ-კი აღარა. საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევისწავლოთ, ავოუსხოთ და ეს შრომა- რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც მფრდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდება, ზოლო ენა-მზეობაც ჩვენის ენისა იძარებს, და უფრო გამრწყინდება, და შარავანდოსანი შეიქნება.

როგორ უნდა შესრულდეს და ვინ უნდა ითაოს ეს დი-  
დი და დიადი საქმე?

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-  
კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმე-  
ში უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვით, წერა-კით-  
ხვის საზოგადოებას არ ექნება არც შეძლება და არც მატერი-  
ალური ძალა გაუძლვეს ამ ძნელად შესასრულებელ საქმესაო.  
მართალია, არ ექნება არც ძალა და არც შეძლება, რასაკვირ-  
ველია, თუ დავივიწყეთ, რომ ამ საქველ-მოქმედო საფუძველ-  
ზე დამყარებულ საზოგადოებას დამხმარებელნიკ ქველ-მოქ-  
მედნი უნდა ჰყავდეს, განა ცოტანი არიან საქართველოს კუთ-  
ხეებში განათლებულნი და მამულისათვის თავ-განწირულნი  
პირნი, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექ-  
სიკონი და მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილა მათს სამშობ-  
ლოში და საზოგადო ლექსიკონში-კი არ არის! ყველგან სა-  
ქართველოში გვეგულებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ  
ამ საქმეს გული დაუდონ და ნება-ნება, აზალ-აზალ სიტყვა-  
ფრაზების მოგონებისა და-გვარად ჩასწერონ თავიანთებური სი.  
ტყვები ცალკე რვეგულებში და მერე გამოუგზავნონ წერა-კით-  
ხვის საზოგადოებას, რომელიც მისდამი გამოგზავნილ მასალას  
შესაფერ ადგილს მიუჩენს ლექსიკონის დასტამბვის დროს. თუ  
რა ფასი აქვს ამგვარს შრომას, ეს სჩანს თუნდა იქიდამ, რომ  
რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ პროვინციალურ სიტყვების  
ჩამწერლებს ყოველ აზალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია  
ორ-ორი შაური! მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ—თუნდაც წერა-  
კითხვის საზოგადოებას შეძლებაც ჰქონდეს,—აღნიშნული ღვაწ-  
ლი ისეთი წმინდაა, რომ ყოველი შეგნებული ქართველი მო-  
ვალეა უსასყიდლოდ დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და  
მიჰბაძოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სუნელებას თაფ-

ლად აქცევს და მერე თავისს ნაყოფით თითონაც სარგებლობს, კასაც უტკბარუნებს პირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს...

კერძოდ მით უფრო საჭიროა განბნეულ სიტყვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი განდეგილთა და გარეწართა. ეს წინდაუჩედავნი, იპოვიან-რა თავისს კუნჭულში ასიოდ ადგილობრივ სიტყვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, ყვირიან: „არიქათ! აი სად ყოფილა ახალი ენაო! ჩვენ თურმე სხვა ენა გვქონია“ და სხ.

კაკ-ელისენ-შაკიხ-წუქეთს (ნაწილია ზაქათალისა და ნუხის მაზრებისა) სცხოვრობენ: ქართველები (ინგილოები), რომელთა რიცხვი ოფიციალურ ანგარიშით  $13\frac{1}{2}$ , ათასი სულია და ლაპარაკობენ ქართულად; შაკიხლები-უდები, რომელთა რიცხვი 1,000 სულზე ცოტა მეტია და წუქეთლები — წაკურლები, რომელნიც რამდენიმე სოფლად მოსახლობენ წაკურსა და კაკ-ელისენში. უდების ენა ამ წაკურლების ენის მონათესავეა; იგინი მართლ-მაღიდებელნი არიან და გურჯიებად იწოდებიან; წაკურლებიც აგრეთვე მაჰმადიანობენ. კაკ-ელისნის ქართველების უმეტესი ნაწილი მაჰმადიანია და დანაშთენი ქრისტიანები.

აღვნიშნავ აღგილობრივ კერძოობას კაკ-ელისნის ქართულისას.

- ა) ყველა სიტყვას, რომელსაც სამწერლო ენაზე ა) ბოლოს უზის „ი“, ეს „ი“ უკვეცება, ვითარცა: ცხენ, ლორ, ირემ და არა ცხენი, ლორი, კაცი

და სხ. და ბ) სიტყვას ხშირად აკლდება „მ“, ვითარცა, წარედ, წოვედ, (მწვავე), წერალ (მწერალი), ლდელ (მლვდელი) და სხ.

ბ) ო—თი, ე—თი, ო თი და უ—თი დასრულებულ სიტყვებს ბოლოში ემატებათ „ე“, ვითარცა: მამად, ხედ, სოკოდ, კუდ (ანუ კუვ) და სხ.

გ) ხმები „ძ“ და „ჯ“ გამოითქმიან რბ-ლად: ზ—დ და ჟ—დ, ხოლო «კ» ისევ მეფობს.

დ) ერთად შეყრილი ხმოვანები — უ (ძველად) და «ვი» (აწ) — კაკ-ელისენში გადაქცეულან იმ ხმად, რომელიც აღინიშნება ფრანგული ასოთი „ა“, ხოლო ხმოვანები „უე“ (აწ „ვე“) გამოითქმის ისრე, ვითარცა ფრანგულივე „ეუ“. მაგ.

ა: გუირგუინი (გვირგვინი) — გარგან, კუიცი (კვიცი), — კაც, ხუიხუინი (ხვიხვინი) — ხახან და სხ.

ეუ: ლვედი (ლუედი) — ლეუდ, გუერდი (გვერდი) გეურდ, ყუელი (ყველი) — ყეულ, კუერცხი — კეურცხ და სხ.

ხან-და-ხან «უა»-ც ეუ-დ გამოითქმის, მაგ სიტყუა — სიტყეუა; უი-ს შუაში რომ უხმო იჯდეს მაინც ეს ხმოვანები ერთმანეთს ელევიან და «ა»-დ იქცევიან: სულიკი (სვლიკი) — სლაკ; წურილი (წვრილი)-წრალ; კუნიტი (კვნიტი) — კნატ; ასრევე უე-ც, მაგ: კუნეტა (კვნეტა) — კნეუტა, კუნესა (კვნესა) — კნესა, ხურეტა — ხრესტა.

შენიშ. ხმები ეუ და ა არიან აგრეთვე სვანურსა,

უდურსა, წახურულსა და ლეკთა ენებში.

ე) ხან-და-ხან მარცვლები (სიტყვაში) ერთურთის მიბაძვით ერთნაირად გამოითქმიან, მაგ: ომოხ (ამო), ჩომოხ (ჩამო), მეუზეარ (მოზვერი), კარაშტავ (კვირისტავი), ეუზეად (ეზო), სარსალად (სირსველა).

ვ) პირველ პირში (ორივე რიცხვებისა) ავი (ალვი) იცვლება ოდ-დ: ოცონ (ავიყვანე), ოდლ (ავილე), წოცონ (წავიყვანე) და სხ.

ზ) შესმენილს ბოლოში ებმის „ყ“, რომელიც ზოგჯერ უდრის „ხოლმე“-ს და ზოგჯერ აღნიშნავს პიროვნებით ნაცვალსახელს, მაგ: ვჭომყ, ვჭამ ხოლმე; მაქ, გაქ, აქ, გოქ, გაქოყ, აქოყ, (გაქვთ, აქვთ)-ეს «ყ» უდრის სვანურს «ხ», მაგ. მყავ, გყავ, ჰყავავ, გყავაყ, ჰყავაყ.

მაყა, ჰაყა, ხაყა, გვაყა, ჰაყახ, ხაყახ (სვანურად).

მინდ (ა), გინდ (ა), ჰუნდ (ა), განდ, გინდაყ, ჰუნდაყ, მაკუ, ჰაკუ, ხაკუ, ნაკუ, ჰაკუხ, ხაკუხ (სვ.)

ვარ, ხარ, არი (ს), ვართ, ხართ, არიან.

ხვარი, ხარი, არი, ხვარიდ, ხარიდ, არიხ (სვან.).

„ყ“-ს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობაც: „გა-კუთებინებთ“ რომ ვსთკვათ, ვერ გავიგებთ აქრომელი ნაცვალ სახელია ქვემდებარედ, მე—თუ ჩვენ. ამ გაუ-

გებრობის ასაკილებლად იხმარება ყ: გაკეთებინებყ, ე. ი. მე თქვენ,— და გაკეთებინებთ, ე. ი. ჩვენ თქვენ.

ც) მრავლობითი ოცხვი წაკურულისა და ყუბაჩის ლექტა ენებში სწარმოებს მარცვლებით „ბა“, „ბე“, „თე“, „ბუ“; უუბაჩურად: კალ (სახლი), კულ-ბა (სახლები), უსულ (ხე) — უსულბა (ხეები), ადამთე (კაცები, კაცთა), უცბე (ძმები); წახურულად: მუკ (მუხა) — მლკ-ბი, (მუხები), სუვა (მთა) — სუვაბი, არაბა (ურემი) — არაბაბი, ჰელ (ჰელა) — ჰელბი(დედები), იაკ (გზა) — იაკბი (გზები).

შენიშვ. უდური სიტყვები დანიშნულია ასოთი «რ» და წახურული — .წ“. აქა-იქ მოგვყავს აგრეთვე მეგრული და სვანური სიტყვებიც, რომელიც აღნიშნულია ასოებით „მ“ და „ს“.

აბლაფ, უფერული ცხენი, ქათამი (ნახე საბას ლექსიკ. „ამლაკი“).

აგებად, გება; ს. ლი-გემ, უ. ჭება.

აკლანზვა (კლანზვა), დამკლავება; აიკლანზა, დაიმკლავა ანუ დაიკარწახა; გურ. აკაპიშება.

ალაზ, საქონლის საკვებავი (ბზე, ბურდო, თივა და სხ.).

აკალევა, მიწის პირიდამ ბალახის მოპარსვა მჭრელი  
ბარითა და ადგილის გაკალოვება.

ამ დროს, სვ. ამ დროეულს, უ. მე ვადა.

ამაჭრეველ, აღმართი გზაზედ (ამოსასწეველი).

ამოგდინგავ, ამოგაგდებ ძირიან-ტესვიანად.

ამომურვა: კალთად ომოჰმურა, კალთა ამოუხვია.

ად (ადი), ის (აის); ადს მინაა? ის ვინ არი? ადს თადი,  
აის მთაა.

ადლ } აილე; მოდლ } ავილე; წოდლ } წავილე;

გოდლ } გავიტანე, ავიტანე; მადლ } მოიტანე.

ადუონ, აიყვანე; მოეუონ, ავიყვანე; მოვეუონ, მოვიყვანე,  
მადუონ, მოიყვანე, მადეუონა, მოიყვანა. წოდეუონ,  
წადეუონ, წადეუონა, წოდეუონით, წადეუონით,  
წადეუონეს.

აუანგერ, არჯაკელი.

არამერად, არამარა.

არანი-ქარ, არანის მხრის ქარი.

არდევად (დევ), დევი, სვ. დავ.

ასტა, ასცდა; დაასტინა, დააცდინა, შესტა, შესცდა.

ასტამ, ასტამი, სვ. ასტამ, უ. ისტამ.

აუარ, სხვენი, ცერდაქъ (საბას ლექსიკონში: „აყარი,  
სხვენის ლატანი გინა საკილარი“). (მყვები.

აურდად } ატყდომა; ნუ მეყოლები } ნუ ამტეხიხარ, ნუ  
ატეხებად } ნუ მეტეხები } ნუ ამტეხიხარ,

ახლ, ახლო.

ახლი-წილ, დანიშნულ-დაწინდულ ქალის მოსაკითხავი  
ბაზბაჭ, დიდდუმიანი ვერძი. (კერძი.

ბათათ, მსუნაგად მომტორავი, ბათათა.

ბაკანი, დიდი პინაკი; კუდბაკანაც, კუს ბაკანი, სარ-  
ქველი; სვ. ფაკან, ჯამი; უ. პინაკ.

ბაჭ, ბალი; მ. ბული, ს. ჰებ, უ. ბაჰი, წ. ბალი.

ბალღუნუ, ბალღოჯი.

ბანგლ, ბანჯგვლი, წვრილი ბეწვი.

ბანდ, ცხელი ქვაბის შესადგამ-გადმოსადგამი ნაკრები  
ბაწარ, მატყლის ძაფი, ლაზლა.

ბებერ, დედაბერი; მ. დედიბი, ს. დედბერ.

ბებრაც, ბებია, დიდედა.

ბზიკ, კრაზანა, oca; მეგრ. და გურ. ბზიკი.

ბზიტ, (ნიშნის გება-დაცინვა-დაქალებით დამუქრებუ-  
ლის გასტუმრება). ბზიტ, ალბად, წარმოსდგა  
სიტყვიდამ აბზუება, ბზ!, ბზუკ!

ბიზაც, ბიძა; მ. ჯიმალი (ძმალი?), ს. ბუბა.

ბიაც, კომში, ბია; უდურ. ფუშა.

ბიბილაც, ბავშვთა ენაზედ ლაშაზი.

ბიღ, კატის ულვაში.

ბლენ, ბნელი. [тениe.]

ბოლქვი (საბას. ლექსიკ.) - луковица, луковичное рас-

ბოლქებაც, ძლიერი ცხელება, (ანთება?) (ნაკერი.

ბორტოც, გორახი, ჩომ; ბორტოც, კაზალა (ყველის  
ბოჭვენი (საბას ლექსიკ.), უ. ბუქუნ, წ. ჰუქუნ, მ.

ქვარა (ქორა), ს. მაჭიკ (შეად. გაჭიცნული,  
როჭიკი, მაჭიკი).

ბოლოლად, ღაბუ (ქათამი).

ბოლორიად, ყვირილი ირმისა ანუ ღმუილი მოზვრისა.

ბრედ, ბრინჯისაგან (ჩალთუქისაგან) გაცლილი კანი.

ბრექ, დაბრეკულ, კისილი.

ბრინჯ, ბრინჯი, უ. ბირინზ; წ. ბრინზ.

ბრედ, მაყვლისა ან ეკლის დაპურული ბუჩქი, ბარდი.

ბუდრეგუნად, პატია ქოხი, ბუდკა; გურ. ოქოჭი.

ბუგ, ბუ; გ. ბუ (ღუ), ს. ღორღოლ, უ. გუგელ,

ბუზან, მუშტი (სპარს.), ს. ჯუგმარდ. [წ. გოვაბი.

ბუთქ-ბუთქი, გროვ გროვად აბეთქებული მცენარე.

ბურჯელად, ობობა (ბურვა, დაბურვა), გურ. ბორ-  
ბურნა, ქინქლა (იხ. საბას ლექსიკ.). [ბალა,  
ბურზლუმ, კრიკინა (საბას ლექსიკ. ბურძლენი, ყურ-

ძნის კლერტი»).

ბურჟულად, კუნწულა; ბურჯლული; გურ. ბურჩი.

ბლუნკად, ბობლვა, ბლუნვა.

გაგად, მიუხველრი. ნესმიშლენი.

გადაბიჭება, გადაბიჯება.

გადად, გადადი, გოდმოდ, გადმოდი.

გადნაშობ, საშეშედ გადაჭრილი ტყის წარაფი.

გალაფა-ყბიან, ნამეტურ პირდადა კაცი.

გალაღლაღება, ისილი, ისილი.

განარებულო, ეკალ შერჭმულსავით გაპრაზებულო,  
ახურებულო (გასათხოვარ ქალის შესახებ).

გამ, გადი; გომოჲ, გამო, გამოდი.

გარუსპება, შერცხვენა.

გატანებულ, დედუფლის მაყრიონი; გომოტანებულ,  
ნეფის მაყრიონი.

გაფრანგდა, საშინლად გაბრაზ-გაცხარდა; გურიაში:  
გაიფრანგა, იარაღს პირი გაუბრუნდდა.

გაშფოთება, შებმული საქონელი სიცხე-პაპანაჭები-  
საგან რომ შეწუხდება, გალეჭდება.

გაჩიება (ჩიება), საიდუმლოს გამხელა; მ. ჩიება.

გაჩქერება (ჩქერება), გამეტება; როგორ გაიჩქერი?  
როგორ გაიმეტე.

გაწინტკა (წინკვა), თითო-თითოდ რომ მოუგო ვისმე  
და ხელ-ცარიელი დასვა, გაგწინტ, მოგიგე სრუ-  
ლად (ალბად სიტყვიდგან წინდი).

გაპეჩა, გატეხა; გაკეჩ, გატეხე; ნაკეჩ, პურის ნატეხი.

გეულაბრიძამაჲ, ანკარა (ქვემძრ.). [ფედიას]

გეურც \*), ახლოს; გეურცგეურც, ახლო ახლო; ს.

გზას წასვლა, იოლად წასვლა (თათრ. „იოლა გეთ-  
მალ, გზას წასვლა”).

გუჟ-გუჟ, ძროხის დასამაკებლად მოზვრის წაქეზება.

გირც, პირჯორ (მოხარული).

\* ) წარმოსდგება სიტყვიდგან გვერდი. გვერდს ანუ  
გვერც და აქედგან გეურც. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით  
იხმარება მესხურ დავითნის ქრონიკაში და იწერება ასე: გულრც  
(გვ. 89.)

გამოუკედა, გამოუდგა.

გორ, გვარი; გორ, საიქიო ერთის გვარეულობისა.

გრეატი, ოჩოლა, (გურემა).

გრიგაშ, მეგრულა ქათამი.

გრილოხ, ჩრდილი; საგრილოხ, ქოლგა (თათრ.).

გრიჩ, სარჩოლად მისევა.

გროშ, დაროშვილი; გროშვა, როშვა (საბას ლექსიკ. „გროში, მოსხოსავით“), გურ. ხოროში.

გუთან, უ. ქეცთან, წ. ქოთან.

გულ, მ. გური, ს. გვი (გუ), უ. უკ, წ. ჰიკ.

გურგურ, ქუხილი, გრგვინვა; უ. გარანეხა.

გუგოხ (გოგოხ), ქალი, გოგო; ს. დინა, უ. ხინარ.

გაგან, გუგუნი.

გულანდ, გულალმა.

გულუებახ, შიგნიერობა, გულ-ღვიძლი.

დაამხალა, მწვავედ სცემა.

დაასტინა, დააცდინა; დასტომილ, დაცდენილი (საბას ლექს. «დასთომილი, დაცთომილი»).

დაბაჯდანხ, ბაჯაჯლანა.

დაზურგა, ნაერთო.

დად, მდადე, მ. დადე, ს. დადუ.

დადაშახ, ზედაშის ქვევრი.

დაკანჭლევა, ავალმყოფობისაგან კაცს სიხმელე რომ დაემართება.

დაკლიტ. დაკეტე; დოჟკლიტ, დავილუპე; ენაჟ ამაჟ-დაგმენა, დაკბენა. [კლიტ.]

დაკოპვა, შახმატის მსგავსად საჩალთუქე აღგილის  
დაჭაკვა, სლუჩკა ლოშадეй. [დასერვა.]

დახდა, დიალ, მეტალ; დახდა კაძა, უფრო კარგია.  
დაორსულდა, ყანა შეთქვირდა.

დახსო, დაივსო, დაიღუპა; დახკლიტა, დაიღუპა.

დაჟ, დაჯე (დაჯეჭ); უის, ზის.

დაჭანება, დარხევით ჩამოყრევინება თხილისა, თუთისა,  
სხლისა და სხ.

დაუიგდა, დალივდა.

დაუუქლვა, ინимათ.

დაშენა, ცემა; დამიშინა, მცემა.

დაწყობა, შერიგება.

დახრა, ნიგვზის ანუ წაბლის ხის ბლერტა ალატით.

დაგეჩვა, მტვრევა, დაძლევა; მერცხალ დავკაეჩ, მერც-  
ხალი დავძლიე.

დაჭხტო, დაჭხვდა; დახტომახ, დახვდომა, შეხვედრა.

დგენა, რასმე რომ ხელი მოავლო და გადისროლო;  
გდგენავ, წყალში ტყაპანს გაგადენ.

დენგრ, უტეხარი და შეუვალი ლელი, ბრძამლ-ეკლით  
დაბურული ტყე, (საბას ლეჭს. „დენგრი, ცხოვართ

დესტამბუე, პუმპულა, დასტამბო. [ნეხვი»]).

დიდგე, ძროხის მოსატყუებელი ძახილი.

დიჩ, ძროხის გასაგდები ხმა.

დილბარ, ალუბალი.

დილლახ, დილა; უ. დაშდამ, წ. მიჭედინ.

დინგ, ჩალთუქის საცეხვავი მანქანა.

დინეორამ (მც.)

დოგასორხორა (დაგვახორხორა), რამე სანუგბროთი  
მთელი ოჯახი ანუ ამხანაგობა გაგვახარა.

დომფალ, დომფალი, უკუტოდ გამოხარშული პარკი,  
ხოლო კუტიანად გამოხარშული ყაჭია.

დოჟ, მცენარის ნორჩი ყლორტი. (ნახე ჩუბინ.

დუდღუბა, გომბიო. [ლექსიკ.].

დუმბამ, ქათამი, რომელსაც ბოლო არა აქვს (აქედ  
გან დუმბაძე).

დუკ, დიკვი.

დანქ, მორი, ბოკო.

დანიამ, დუნია, მსოფლიო. იმ დანიაში, საიქიოს, ამ  
დანიაში, სააქაოს;

დღემ, დღე: მ. დღა, ს. ლა-დელ, უ. ღე (ლი), წ. ჰილ.  
ენამ, ენა; მ. ნინა, ს. ნინ (ლეკურად ნინო, დედა),  
ენატლაკა. პირშეუნახავი, ენატანია.

ეჭხახ, სრულიად (ალბად სიტყვითგან ძან).

ერამუქ, უშობელი ფურკამბერჩი.

ეაზიზირამ, ვაზის ძირა (მც.).

ეაშშენ, ტრევოგა, (ვაიუშველებელი).

ეაშ-ჭარა-ჭე, სამგლოვიარო მოძახილი.

ეარდ, ვარდი; მ. ვარდა, ს. ვარდ, უ. ვარდ, წ. ვარდ.

ეარიამ, ვარია (მამლაყინწას გარდა).

ეაშლ, ვაშლი; მ. უშქური, ს. ვისგვ, უ. ეჩ, წ. ეჩ.

ეაშკაც, ვაშიკაცი. გურ. ვაშკაცი (ალბად სიტყვიდ-  
გან ვაშა და არა ვაჟი).

ჭირ, გოლტის დასაღველი სამფეხა „მაკრატელი“.

ჭალაშ, ძალუა.

ჭალ, რძალი, მ. ნოსა, ს. თელლრა.

ჭალ, ძალა.

ჭამაშ, ცოლისთვის ქმრის მამრი ბიძაშვილები. (ზამა  
სიტყვიდგან ძმა, ძამია (იხ ზმაშ.)

ჭამანაშ, ხანა, ეპოხა.

ჭაჭუა, კაკალთა შორის ყველაზე მსხვილი კაკალი (ნა-  
ყოფი); ზაჰყა-ზაჰყა, დიდრონი კაკალი ანუ თხი-  
ლი; ზაჰყა, კაკალ-თხილის გასატანი (თამაშობა-  
ში) კაკალი.

ჭგლუნ, სტოლისკე, საგლინავი, ლიბი.

ჭედგარ, ზედადგარი; საზედგრეჭ, ცეცხლიდგან ზე-  
დადგრის გადმოსადგამი კავი.

ჭემჭემ, ზემო მხრიდგან; ქომქომ, ქვემო მხრიდგან

ჭეჭ, მზე; მ. ბჟა, ლაზურაღ მუორა, ს. მიუ, უ. ბეღ,

ჭეჭ, რძე; მ. ბჟა, ს. ლჯე [წ. ვირელ.

ჭეჭეჭ, ზევ ზევით, სვერხъ, ჩეрезъ; სახლების ზეჭზე  
გადაფრინდა.

ჭეჭთი, ზემოდგან; ზეჭთი იქნა, ზენას ძალით იქნა.

ჭეჭრაშ, ძერა.

ჭიანაშ, რძიანა, მ. ბჟალა, ს. მჰლჯადრა.

ჭივ, მძივი, მ. ძია, ს. ძივ.

ჭილ, ძილი; მეზინზილებ (ზღაპრებში), მეძინება.

ჭინუჭე დეეცა, უკანა ტანზე დაეცა.

ჭისმა, მჭის მაღლმა (ფიცილია).

ზმაჲ, ძმა (ზამაჲ, ძამი, ძამია), მ. ჯიმა, ს. ჯიმილ.  
ზომოვთიან, ზემო მხარეს; ქომოვთიან, ქვემო მხა-  
რონზ, ძონძი, ს. ძეუნძ. [რეს.]

ზროჲ, ღერძი, ძრო.

ზროხაჲ, რქოსანი საქონელი; ფურ, ძროხა, ს. ფურ.

ზუნგეჭაჲ, მოგანგლული.

ზუკ, ძუ; მ. ჯუა, ს. ჯუა.

ზარკ, ძირკვი; ზარკიან კაც, ძირეული კაცი; ომოგ-  
ზარკავ, გაგაქრობ, ძირეულ-ფესვიანად დაგკარ-  
ზარხსანაჲ, ძირხვენა. [გავ-]

თავ არ არის, ჯერი არ არის. თავი, ჯერია.

თავარჩაჲ, წისქვილის ბორბალი.

თავრიალ, საქონლის თავ-ქალას ტყავი.

თავსაპარსი, მკვდარზედ შავების გასახდელი და თავ-  
წვერის საპარსი დღე.

თაფლ, მ. თოფური, ს. თვი, უ. უჭ, წ. ითუ.

თეთრ, ფული, თეთრი.

თეთროჲ, ბისტი. გურ. სვეტი.

თეჭანაჲ, ჩონგურის დასაკრველი ბლის ქერქი.

თით, თითი, მ. კითი, ს. ფხოლე, წ. ტიბ.

თიან, სპილენძის დიდი თაბახი; უ. თიან, წ. თიან.

თმაჲ, თმა; მ. თომა, ს. ფათვარ, უ. ფოფ (შეადარე  
ფაფახ-ს), წ. ჭარ.

თოვჭ, თოქჭ!

თოლ, მ. თოლი, ხევსურ. თოლი, ს. თე (თეუ)

თორეჲ, მთვარე, თოარე; მ. თუთა, ლაზურ. თუთა,

ს. დოშლულ. აფხაზ. ამზა; თლია, თვე, თთვე;

მ. თუთა, ს. დოშლ. აფხაზ, ამზა.

თორთაჭებაჲ, თვალიერება.

თოხმას, ხის ჩაქუჩი, გურ. კორკოტანა.

თუარემ (თუარ), თორე (მ), თუარემ; სვ. აღო. თუარ  
დაიკოცებიან.

თუთაბალია, მალალური (ეს სირი „თუთა-ბალია!“-ს  
გაპერვისო და არა „ბიჭო-გოგიას.“)

თხელ-ხინჯალ, ატრია.

თხილ, თხილი; უ. ერეყ, წ. ერეყერ.

თხლათვაჲ, ძან თხელკანიანი ყურძენი.

ივაწივა, (?)

იმალზეთ, ზეგის მეორე დღე.

იჭო, იჭ!

გავღოჲ, კავი, ეკიქ.

გაგალ, კაკალი; უ. უყ, წ. ხეკკარ.

გაგაბ, კაკაბი; წ. გაპკაბა.

გაგანი, უ. კაკაბსუნ, წ. გაგალა.

გაგაჩ, კაკაჩი (ლამე მთვარით ნათელი, საბას. ლექსიკ).

გამმეჩ, კამბეჩი, მ. კამბეჭი, ლაზ. გომიში, წ. გემიშ.

გამს, კარგია, კაია; კაჭს, მოვალ, კარგი, მოვალ.

გაპრაშ, ყვითელ-მოწითლო (იხ. საბას ლექსიკ.), ნარ-  
კარაზანაჲ, (მც.) [გიზის ფერი.

გარეჭარან, მჩვარი.

გარწახ, წენგო. [ეკლის ლობე].

გაწ, ლობეზე სავლელი ბილიკი. შეად. კაწანი,

გაწად, ხის მომცრო ჯამი.

გაჭად, ნაჭერი ნესვისა და მისთანათა.

გაჭვა, ცელვა.

გდარ, მკვდარი; მ. ღურელი, ს. ლა-დგარ.

გედ (ძაბ), ძაფი (ოქრომკედი).

გეგრუხ, მოლოტი.

გეგრცხევლად, ერბო-კვერცხი.

გეუხვად, ნისკარტით ჩაკვრა; ჩაჰეუხა, ჩანისკარტა.

გილან, თიხის პაწია ფიალა, ჯამი.

გიდბან, კიდობანი, ს. კიბლვენ.

გიკოდ, ტიკინი.

გინად, რკინა, ს. ბერეუ (აქედგან გვარი ბერეუიანი).

გინკილო, თხილის ბუჩქის ყვავილები; კინკილებს, კონწიალებს. გურ. კვინკვილა.

გირგილ, ჩრჩილი.

გირგნად, კენკვა, გამოკიკვნა.

გლავ, მკლავი; მ. კილე, ს. მეკარ, უ. ჭულ, წ. ხილეჭბი (მკლავები).

გლერტოდ, კლერტი. ამოკლერტვად, ხნულის გაწმენდა ძირკვებისა და გამხმარ ბალახ-ბულახისაგან.

გნატ, კვნიწი; კნატ, კნუტი, კნოტი.

გოიშა (კოპიჭა), ტანდაბალი კაცი, ჩია კაცი (საბასოექსიკ: „კოპიჭი, მიწა შეყინებული“).

გოლა, მაგიერ; მის კოლა, მის მაგიერ (კოლა სიტყვიდან კვალი) (კუალი); საზოგადოდაც ითქმის მის კვალად, მის მაგიერო.

კოლ, კვალი; დაკოლეს, კვალი გაატარეს; დაკოლეს,

დაჭილიკეს; კოლსუკან წარდა, კვალს გაჰყვა.

კოლტ-კოლტი, მურკლ-მურკლი; კოლტ, მურკლი.

კოკოშ, კვერი, კოკორა.

კომლ, კვამლი, ბოლი. მ. კუმა, ს. კუამ, უ. კუინ.

კორთეჟ, თარო (საბას ლექსიკ. «იკორთა, ფიცრის თარო»).

კორკორაჟ, ბარად სოკოსავით ამობურცებული გორა-  
კორსალაჟ, ბზრიალა (შეაღარე სორსლებას). [კი.

კოტოშ, გრძელტარიანი გოგრის ჭურჭელი. უფრო ადამ  
კოფხალ, კუფხალი.

კოეხხებაჟ, კრეჭა; გაკრინჩხა, გაკრიჭა. გურ. ხუჭვა.

კუდბაწალა, ყურბელა (იხ. ყურბელა).

კუდრუცანაჟ, ცხვრის დუმის კუდი.

კუდურ, კუდა, უკუდო.

კული (ტული, ტუგნაჟ), ტუგია,

კუნზ, ხის სამფეხა სკამი.

კუნტაჟ, კუტი (პური).

კურკო, კრკო.

კურკურაჟ, გვრიტი.

კურტ, კრუხი; კურტაბულაჟ, დომისხმა.

კუტი, წიწილებიანი კრუხი; (კრუტი, საბას ლექსიკ.).

კუჟკუჟ, გუგული; კუჟკუ, გუგუ; ს. გაგუ; უ. კუჟ-  
კუ, წ. დაკუჟ.

კანტალაჟ, თვალის ფჩხილი.

განტახ, კლდისა ანუ ოწოწოლავებულ მთის მწვერვა-  
გარსშტაგ, კვირისტავი. [ლი (კორტოხი?)

გაც, კვიცი, კუიცი, კიცვი.

გუჭულად, ყურიანი ლიტრა.

ლაგლაგ, უ. ლანგლენგ, წ. ლაკლაგ.

ლალუდ, ჩჩვილთა საძილე ჭოჭინა.

ლამ, შლამი.

ლაფლად, საჭოჭინე ნანინა.

ლაპარიკ, ლაპარაკი; ლაპარიკობს.

ლარტად, ნაკაფი კაკლის ხე საქერქედ.

ლასტ, ჩელტი, ლასტი წკნელისა.

ლაფოჩქინად (ლოფოჩქინა), ლოკოკინა, მ. ფერწო,  
ს. მჰყანც, გურ. ლოქორია.

ლაფჩინ, წალა, უ. ლაფჩინ (იმერეთში ყველგან  
ლაფჩინს ამბობენ)

ლაღოზ, მაღლა და წვრილად აყრილი ხე (ლექსი-  
კონში „ლაღოზა, წვრილი სარი“).

ლეჭ, ალალი (ფრინვ.).

ლეჭლარ, «ფრაკის» მსგავსი საცმელი.

ლესლ, ლელვი, მ. ლული, ს. ლულ.

ლეჩაქ, წ. ლეჩაქ.

ლილი, საამური ლილინი (საბას ლექსიკ. „ლილია,  
ჩჩვილთა მიერ ლამაზი“).

ლიცლიც, ლიცლიცი (შეადარე. სვან. „ლიც“, წყალი).

ლოგინ, კровать (ნახე საბას ლექსიკ.); ფართალ,  
ლოგინი.

ლულები, ლულებინი, լեյка.

მამხალ, დამაკებულს მუცელი რომ შეეტყობა.

მარაზ, ფოჩებ დაყოლებული წვრილი თოკი.

მარჯენა, მარჯვენა, მ. მარძვანი, ს. ლარსგვან.

მახხეუტა, მოიხვეტა, უცბაღ გაიქც-გადიკარგა.

მასკან, მასკვან, მერმე.

მასკულა, ვარსკვლავი, მასკვლავი.

მალა (მო), მოდი; წა, წადი.

მაჩქატელა, ღამურა (საბას ლექსიკ. მაჩქათელი),  
გურ. მელამია.

მაჭეჭალ, მაჭანკალი.

მეეგდა, მოედო (зацѣпилось); მეეგდა, მოეთრია.

მეზეუბელ, მეზობელი (еиზеи, ეზო); ს. მეზბეულ  
მეუზეურ, მოზვერი, ს. მეუზ, მრავლობ. მოზარ.

მელაკუდა, რქაწითელი (ყურძ.).

მემზანაგობა, ქორწილის წინაღამის ვახშმობა ნეფიო-  
ნის უახლოეს ნათესავებისა (სიტყვიდგან მზა,  
მზაუთნა).

მემზანაგე, მემზანაგობის სამახარობლოდ სადედოფ-  
ლოსას გაგზავნილი კაცი.

მენა, горшечный чанъ, ქოცო რომ შუა წელამდე  
მენაკ, ვენახი. \*)

[იუს ამოცვანილი.

\*) ვაზის სამშობლოდ მეცნიერებს მიაჩნიათ საქართვე-  
ლო (იხ. ალფ. დეკანდოლის „Мѣсто прописх. воздѣлывае-  
мыхъ растеній“, გვ. 191—193). ვენახ-ღვინის სახელი ჩვენ-

მედლან, მეტის-მეტად შავი, მრუმი.  
მერანდომ, მოწითანო ყურძენი.  
მერახულად, საშემოდგომო სხალი.  
მეროვ, რა ვიცი, რა ვთქვა.  
მილო, ლამაზო, მოხდენილო (ალერსი კატისალმი).  
მინ, ვინ, მ. მინ; მინაა? ვინ არი; მინამ, ვინმე; არც-  
მინამ, არავინ.  
მიწრომ, ვიწრო, მიწრო, იწრო.  
მიხივხივებს, მიიზლაზნება, плетется.  
მოკ, მოკვდი; მოვკ, მოჰკ, მოკდო (მოვკვდი, მოჰკვ-  
დი, მოკვდა).  
მოხ, მო, მოდი; წახ, წა, წადი; მივ, მიდის, მივა  
(ლს), მეგრ. მეურს; მოხადეი, მოხვიდე, მოხვი-  
დედ

---

შიაცა და ბევრგან სხვაგანაც თითქმის ერთი და იგივეა:  
vinum (ლათ.) oinos (ბერძ.), vine (ფრანგ.), вино, виног-  
радникъ და სხ. ჩვენში „ღ“ ხან ემატება სიტყვებს, ხან აკლ-  
დება: ვაჭარი—ღვაჭარი (ხევსურ.)—ღვაჭარ (სვანურ.), ვაჟი—  
ღვაჟი (ხევს.)—ღვაჟ (სვ.), ლევა—ღლევა (ხევს.), მეტი—ღმეტ  
(კაკ-ელ), ღლეინდელი—ღლენდლელი (ხევს.), ასვლა—აღსვლა,  
ადგომა—აღდგომა, მიაღწია—მიაწია და სხ. და ამიტომაც,  
საფიქრებელია, რომ უუძველეს დროს ან „ღვინო“ (მეგ. ღვინი,  
სვ. ღვინალ, ღვინელ, კაკ-ელ. ლანედ) ითქმილა ვინო-ღ და ან  
„ვენაზი“ ღვენაზ-აღ (მეგრ. ბინეზი), და ამ შემთხვევაში ეს  
სიტყვა უნდა წარმოებულიყო ასრე: ღვინეზი—ღვენაზი—ვენა-  
ზი—მენაკ.

მოთოლა, ჩამოსთვალა; ჩათოლ, ჩათვალე; ჩათლით  
(по складамъ) წაიკითხ.

მოყამებული, მომწიფებული.

მოსადრევა, სატანისამოსო ნაჭრის გამოუკრელად ოან-  
ზედ დაზმანება (სადარი, მოსადარი, შესადარი).

მოსარქება, პირქვე დამხობა ქვაბისა და მისთანათა;  
მოასარქლი, გადმოაბრუნა სავსე ქვაბი ან სხვა  
ჰურკელი; (მოსარქლება სიტყვიდგან სარქველი).

მოფეხვად, გამოდარება; მოიფეხა, გამოიდარა; ს.  
მაფხე.

მოღება, მოტანა, მ. მოლალა.

მრიალი, ბრიალი; თოლებ დაუმრიალა

მუგუზ, მუგუზალი, ს. მულვაზ, გურ. ნუგუზალი,  
მურ, მური, ახალ გამოსული პარკის ჭია.

მუხად, უ. მაკნახოდ, წ. მუკ.

ნამ, ნამი, უ. ნამ, წ. ნამ.

ნავ, ნავი, მ. ნიში, ს. ნავ, უ. ნავ, წ. ნავ.

ნანხ, ნენა (დედა), ლეკ. ნინო.

ნაუღელ, ნაღველი, ს. ნანღველ.

ნაუელავ, მოკლულ ნადირის თავ-ყელ-კისერი მისის  
მკვლელის წილად.

ნაწებ, დაკვნიწებული ბრინჯი; წეკვა, კვნიწება; კეურცხ  
დაიწეკა, კვერცხი ნაკრავია; წეკა, ჩეკა.

ნეღად, ჯიში ხეხილთა, რომლის ნაყოფი გვიან მწიფ-  
დება; აღრეულად, ნელაზედ აღრეული, მაგ. შვინ-

დი ზოგია ნელა, ზოგი ადრეულა, აგრეთვე ად-  
ეპერ, ქაფი, პერი. [რეულა თხილი და სხ.  
ნეურგ (მეურგ), მორგვი.  
ნეუს, ნესვი.

ნეტა, ნეტავი, ნეტარ; მ. ნოტე, ს. ნატლავ [კიჭი.  
ნიგორ, ნიორი, ს. ნივრა; ნაგრიკიჭ, ნივრის კბილი,  
ნიგნიგა, კიკნია; ნიკაპ დაუყენებლად მოლაპარაკე.  
ნინდმაჲ, ძროხა (საალერსო სიტყვაა).

ნიღნიღაჲ, ჯუჯლუნა.

ოთქუშ, წელის ტკაცუნება, ჭკანტი.

ომოჲ, ამო, ამოდი; ჩაჲ, ჩადი.

ოხხე, ბარაქალა, ვაშა.

ჰანკულან, წვირიანი, ჰანკვლიანი.

ჰაპაჲ, მ. ბაბუ, ს. ბაბა, უ. ქალ-ბაბა, წ. ბაბა — დედე.

ჰატა, ცოტა; ჰატჰატა, ცოტ-ცოტა;

ჰატრაჲ, ჰატარა,

ჰაშტაჲ, ჰაშტი, საკმაო. (იხ. რუსთავ.)

ჰირ, ჰირისახე; ყბაჲ, ჰირი.

ჰირანდ, აღმა წასვლა; თავქეუ, ქვემოთკენ წასვლა.

ჰირუჲა, დაჩლუნგებული (ჰირი ყუად ქცეული),

ჰიწიწაჲ, ჰაწაწა; ჰიწიწაჲ, ჰაწია.

ჰუწიგა (ჰუწია), ჰაწია ხბო (საალერსო სიტყვაა).

ჰაგი, ჯერჯი, ჯაგი; ცახის ცოცხი.

ჰანგო, ვითარცა: ქა ჯან ანუ ქა (გო შემოკლ. გოგო).

ჰეპეჲ, მჟავე.

ჰეპანაჲ, მჟაუნა.

ჟენგრად, დაბერებული სვია.

ჟერგად, მწკრივი, რიგი, კვალი; უერგა-უერგა, რიგ-რიგად; „უერგა-უერგა ბალებო, ლამაზ-ლამაზ ქალებო“. \*)

ჟინად, ზემო სართულის „ბალკონი“ (ალბად სიტყვილ-გან ზენა, მეგრ. ჟინი, სვ. ჟიბავ).

ჟინჭარ, ჭინჭარი, მ. ჭუჭელი, ს. მერხელ.

ჟიჟნაუ, დაბეჟილი, ძვალ-რბილ გასწორებული.

ჟიღ, მჯიღი.

ჟორ, ჯვარი; უორ გაჭრად, ჯვარის წერა.

ჟორლი, ჭვაბი რომ ვერ იტევდეს მოსახარშ რასმე.

ჟუღ, რჯული, სჯული (თუმცა-ლა ამბობენ ურუჟულო და არა უუჟულო).

ჟუნგად, ჟონა.

ჟანტად, სურდო.

ჟატ, ფურთხი, მ. ფურტინა, სვ. ნაშე; შეაჟატა, შეაფურთხა (დუჟი?).

რახბე (თ), რათ, რისთვის. [გეუბნება.]

რახმ, რამე; მა რახსა, მაშ რა არი; რას გებნება, რას რინგ, ულელი ძალლთათვის რომ ვენახში ვერ შევიდნენ; დარინკა, ულელი დაჰკიდა, (რიკი?).

რიწყ, სარჩო-საბადებელი; რიწყს გაგიწყვეტ, ლუკმას როჟინ, კამეჩის ყროყინი. [მოვისპობ.]

\*) ჩარიგებულო ბლებო  
ლამაზ-ლამაზ ქალებო.

რუგუარა (ჰუგუარა), როგორ არა (რაგრარ არა).

სა (სადა), მ. სო, სოდე; სა არისა, სად არის.

საბზე, საბზევე.

საგრილოდ, ქოლგა (თათრ.)

საკაზიროდ, დასასაქმებელი ყმაწვილი ან კაცი; დაკ-  
ვაზირა, შეუკვეთა; დავაზირებული, შეკვეთილი.

სახაზ, დასტამალი.

საზვე, სარძევე თახჩა.

სათოლე, სათვალე, მ. სათოლე, ს. სათალ,

საივალ, ბოძკინტი, პიძირა.

საკან, ღიღი კიღობანი, ბეღელი.

საკეჭ, საკენკი; საკეკი-ქარ, შაკიკი.

საკეს, კვესი; კესება, კვესება.

საკუწელ, სქელი ფიცარი, ხორცის დასაკეპ-დასანაყად.

საკმელ, საკმეველი, მ. ოკუმაფუ, ს. საკმელ.

საკუნზურ, მწვალებ აგებულ შამფურის დასაფიცხებე-  
ლი სასთაული.

სალოკ, კლდიდგან მუონავი მთის წყარო, მონალი-  
რეთაგან დამლაშებული ნადირთა სალოკად.

სამარგან, სამაროვანი, სასაფლაო.

სამხრე, ზვარაკი, საღმთო.

სანაუელ, ავანგდასტა (სპარს.)

სასელად, სახლის გარეშემო წვიმის სადენი მცირე თხ-

სართხამ, ტყავების გასართხებული ჭიგოები. [რილი.

სასტულ, სასთაული, ბაღიში (სპარს.).

საფუარ, ხაში. მ. საფარი, ს. საფუარ.

საუთელი, საყვარელი.

სეფად, სერა.

სეულ, შრატი.

სეუგელ (სეველ), სველი, სოველი,

სიზე, სიძე, მ. სინჯა, ს. ჩიუკ.

სიმარტელი, ზღმარტლი.

სიპ, სარქველი; სიპიქუა, სარქველის ქვა.

სირთ, სერი მთისა.

სლანგ (წლანკ), თხელ-თხელი წვენი.

სლაგ, სვლიკი, проводный.

სმინდ, სიმინდი.

სონილი, სანელებელი.

სტენა, სტვენა, წ. სეით.

[გელოზი.]

სულისამლებელი, მომაკვდავის სულის მიმლებელი ან-

სულპურ, ალაპი, ორმოცის წირვა (სულის პური).

სუნაგ, მსუნაგი.

სუსსალა, სირსველა.

სხალ, მსხალი, მ. სხული, ს. იცხ, წ. ჯიხა.

სხოდ, სხვა, სხუა.

სხოჭლა, სხვირპლი, ციპъ.

ტაბლა, მკუდრის კერძი.

ტაბლობა, ახალი მკუდრისა ანუ ძველთა მოსახსენე-

ტაფახა, ელენთა. [ბელი ალაპი.]

ტანა, ხბო (რუსთავ. „ტანა — ჯორი“).

ტანგეტ (ტანკი), მცირე კალათა.

ტანსომოზ, ტანისამოსი; ფეხსომოზ, ფეხსამოსი.

ტარბავ, აპოხტი მსხვილი ნაწლევისა.

ტარ, თითისტარი.

ტატად, დიდი ტარი, მ. ტუკი, ს. ფაუ.

ტელად, ბლინზ.

ტეხებად, ატყდომა; ნუ მეტეხები, ნუ მიტყდები, ნუ  
ტეუპად, ტყეპა; დამტეუპა, გამტყიპა. [მყვები.

ტიგად (წიკად), წიწილა (საალერსო სიტყვაა.)

ტიგი-ტიგი, წია-წია.

ტიხად, კრიალოსანი ჩამიჩისა, ხრიალა ნიგვზისა. და-  
ტიხა, ტიხები აასხა.

ტიხრი, მეტად მაგარი მიწა; ჭუატიხრ, ჭვატიხრი.

ტკებელ, მტკაველი, მ. ტკუ.

ტკეუფა (ტკვეფა), პირისპირამდის ჭედით ამოვსება.

ტოლ, წყებანი საჭიეში პარკის ჭიათურვის. ტოლტო-  
ტომაჟ (ჩომაჟ), ჩომბახი. [ლი, წყება-წყება.

ტონი; რა ტონის კაცია, რაფერ ჩატმულობის კაცია;  
შავ ტონიანი კაცი და სხ.

ტორახუტი, კამა.

ტრედ, ტრედი, მ. ტორონჯი, ს. მუგვ (გვრიტი).

ტრიდ, გრძელკუდა (უდუმო) ცხვარი.

ტურად იზეაბ, მზიურად რომ წვიმს.

ტუელ, ბრტყელი;

ტუად, უ. ჭალაგ, წ. ჭალაგ.

ტან, ტვინი, ს. თველ.

ულაუებ, შესაბმელი. საქონელი.

უმბალ-უმარილოდ, უგბილი.

უმზრახლად, წითელი პარასკევი (ვინც ამ დღეს დილით აღრე ადგება და უმძრახად ქლიავის ხის ქერქს უკბენს, მას მისი ნაყოფი კბილს ვეღარ მოსჭრისო).

ურწან, ცოლ-ქმრობის გემოს გაუღებელი ადამიანი, ქალწული.

უღელი, მ. უღუ, ს. უღვა, უ. ოყ, წ. ოქვ.

უჩუღ, ავადმყოფს რომ ნაწყენი გამოაყრის.

უცან, ძალლის საწამლავი (მცენ).

ფათალოა, სურო (საბას ლექსიკ: „ელიანდრე, სუფათათურ, ხელთათმანი.“ [რო, ფათალო]).

ფალ, საბუდარი კვერცხი.

ფალასაა, კაბაგრძელკალთიანი; ფალასაა, ფრთებ ჩამოყრილი; დაფალასებული, ავადმყოფობისა გამო ფრთებ-ჩამოყრილი ფრინველი.

ფანგაცაა, გигантъ.

ფაროა, ფთილა.

ფასტლალია, блины.

ფაფაჩხალა:ა (ფაფაჭყალა:ა), ფლავი რომ ძირს — ნაფ-ხეკას გაიკეთებს.

ფაფაწანა, ძლარბი; ალბად სიტყვიდგან ფაფა (ფაფაყ) და წანა (წადი). საბას ლექსიკ. „ფაფთა, თავზე დასახურავი“).

„ფაფახი ყირ არ მიჭრის“, არა მჯერა.

ფაფლა, ლობიო, ბაკლა, უ. ფახლა, წ. ბაყალი.

ფაშ, ფაშვი, ს. ფაშარ.

ფაცულის, ჩერხა.

ფეიტ, ფეტვი, ს. ფატვ, წ. დიკ.

ფეზედგომელ, იფიციანტъ.

ფიც, ფიცი, ფუცი; მ. ფუჩი.

ფლავ, უ. ფლავ, წ. ფლავ.

ფლრ, ობი; დაფლრება, დაობება.

ფარტ, ფილტვი, ფირტვი, მ. ფიუვი ს. პერშვა.

ფუსტუ, ფუნჩულა.

ფუჩ, ფუჭი. გაფუჩებულ, გაფუჭებული.

ფუნქა, ფუნკა.

ქათამ, მ. ქოთომი, ს. ქათალ, უ. კოკოწ, წ. კატემ  
ქახ, რქა; მ. ქა, ს. ქარახს; ქებ გემეება, რქები გა-  
ქამარ, წ. ქამერ. [მოება]

ქალმან, ქალამანი, უ. ქალამ.

ქარაცხლრ, (საბას ლექსიკ: «ქარა, უყურო ცხვარი»).

ქარსავ, თავ-ქარიანი, несосредоточенный.

ქაჭერი, ლორის მსუქანი ტყავი.

ქერეჭად, სქელ-მოყომრალო კანიანი ნესვი, ქერეჭ,  
მარიამჭიისა და მისთანათა ზემო ფრთები.

ქითილად, ფურცლის პატარა ტოტები.

ქიჩინჩოდ, ჯიბლიბო, მ. ქუჩუჩი, ს. ბინბილ, უ. ბიბიკ.

ქოვქოვ, (თამაშობა; ვისიმე ფაფახს მოთამაშენი წინ  
წაიგდებენ და ფეხის ამოკვრით შორს აგდებენ).  
ქოშხად, ცხელ ნაცრის ქვეშ გამოცხობილი პური

(შეადარე მეგრულს ქობალი, პური).

ქომოდთი, ქვემოთი (ქვემოდგან).

ქომქომ, ქვემო მხრიდგან.

ქონდრიკაც, ქონდრის კაცი..

ქულბაჲ, ღიღი ქურა.

ქუჭო, (საქუსალი?).

ქურმუხა საყდრიძა, ქურმუხის საყდარის მაღლმა (ფი-  
ქურუხ, პირქუში, უგრიუმი). [ცილია].

ქუჭურდ, გოგირდი.

ქუშუშხა, სკუპი; გურ. წკვერტა, მ. წკაპი, ს. ლი-  
ქუხუ, ძალლის დასაშოშმინებელი ძახილი. [სკვნე.  
ლამეჲ, ლამე, წ. ჰეამ.]

ლაჭო, ხაჭო.

ლდელ, მლვდელი, მლდელი, მ. პაპა, ს. პაპ, ბაპ, ჩა-  
ლერობაჲ, მლერა. [ჩნურ. მოძლურ.]

ლილნა, ლრლნა.

ლმერთ, მ. ლორონთი, ლაზურ. ლომორთი, ს. ლერბერ,  
ლერმერ, წ. ლინიშ, თავასარ. ლუცარ, ლურ.  
ხუცაუ, ჩაჩ. დელი.

ლმერთიძა, ლმერთმანი (და ასრევე ფიცილი: ზისმა)  
(მზისმანი \*).

ლმეტ, გარდა; იმი ლმეტ, იმის გარდა.

ლინჭილო, ლვინჭილა.

ლლიკანწ, სუსტი და წვრილად ტან-აყრილი.

\*) თქმა: „თამარის მზემა“, „შენმა მზემა“ და ს. ალბად  
ნაშთია იმ დროისა, როდესაც ქართლოსიანნი თაყვანს სცემდნენ  
მზეს.

ღულ, წვრილ-კბილა ნამგალი. (ღულაძე)

ღურბელ, ღრუბელი.

ყაშუაში, ურიის ყვავი.

ყალაღ, ჭოლოკი.

ყალაღან, (საბას ლექსიკ. „ყალაღან, უგვარო, მაღა-  
ლი და სუსტი“).

ყახაჟ, ცხვრის ლორი.

ყელ, ყელი, ს. ყია, უ. ყოყ.

ყინტორად, (მცენ.); გაყინტრა, ერთი მოსმით გადა-  
ყდესვა, ბრტყვნა, ს. ლი-ბანტყორი. [კაფა.]

ყოვე, ყვავი, მ. კვარია, ს. ღვამალ, უ. ღახნა,

ყოვშეურა (ზლაპრებში), ყვანჩალია.

ყოვიჭეანტა, ყვითელ ყვავილებიანი ბალახი.

ყორავად, ისვრიმი.

ყოუოდ, მაღალ-მაღალი და ყელყელა კაცი.

ყროლ (ყრალ), მყრალი, ს. ყრალ; ააყროლა, აამ-  
ზორა, აამყრალა (აამზორა სიტყვილგან მზოვ-

ყოხუშ, კოხუნჯი. [რი].

ყორუოტ, წერო, ღერლეტი.

ყურ, ყური, წახ. კჰრი.

ყურბელად, ბოსტანა.

ყაყ, ღრმად მოხუცი კაცი (დაცინვის კილოის სიტ-  
შანგლა, არეულ-დარეულად მითიბვა-მოთიბვა. [ყვაა]).

შაპ, შაბი.

შარანდელ, შარშანდელი; შარს, შარშან.

შაშ, შაშვი, უ. ჭაჭი.

შეუქ, საზამთრო ნესვისა და მისთანათა მიწაზე გრძლად  
გართხმული ღერო.

შეუნიერ, შვენიერი.

შეჟ, შედი; შომოხ, შემოდი.

შეჟღ (შეჟტან), შეიტანე.

შეშტრანგ, შანთრანკი.

შეცნევა, დაფარულის მიხვედრა; შეგაცნივ, ნაძლევი  
მოგიგე, „აიდოსტ“.

შედობით, შვიდობით, ს. შვიდებდ.

შიბი, წრე ქსოვაში (ნახე საბას ლექსიკ.)

შიტრიკ, ცუნცრუკა.

შიშახ, შეშა; მ. დიშქა, ს. ზექ, უ. უშ, წ. ოს.

შედანწლ, შვიდანწლი.

შელ, შვილი, ე. ი. მხრლოდ ვაჟი: ორ შელ მყავ,  
ორი ვაჟი მყავს; ორ ქალ მყავ, ორი ქალი შვი-  
შანდ, შვინდი; შანდრიან, შვინდნარი. [ლი მყავს.

შეფრობახ, ცეკვა (საბას ლექსიკ. შუშპარი).

ჩახ, ჩადი; ჩომოხ, ჩამო (-დი).

ჩაჭდუხ, ცელი, ს. მერჩილ.

ჩარჩავ, ჩარსავი.

ჩავარ, ყავრის ლასტი.

ჩად, გვიმრა, ჩადუნა.

ჩაკუსკუსა, მწყაზრად და საყვარლად მოიუბნა; ჩა-  
კუსკუსება, держать увлекательную речь. (შეად-  
ფშაურ-ხევსურულს „მეკუსება“).

ჩაცუნცება, ჩაცუცქება

ჩაჭულ, ფურცლის დაბალი ხე.

ჩაღარდანა, არხზედ გაკეთებული ჩახრიალა.

ჩაჭმავანი, პატარძალის ოჯახის წილი გაგზავნილი  
ნეფისაგან.

ჩაჭკრა, მოულოდნელად რამე წილად ჰქვდა. ჩავკარ,  
ბედმა გამიღიმა და წილად მხვდა რამე.

ჩილავ, ჩლავი, უერბოვო ფლავი.

ჩინჭერ, გამოწურული და გამომშრალი ხორცი და  
მისთანანი. [ხვრეტა.]

ჩორქ, წვრილი და გრძელი ცული; ჩორქნა, ჩორქით  
ჩომოხეთჭჭლ, მეწყერ წამოსული ადგილი მთისა.

ჩუპე, ჭიპი, ჩუბუტო (ნახე საბას ლექსიკ.)

ჩუღურ, ჩავარდნილი ადგილი (ჩუღურეთი).

ჩუჩაუ, ჩინჩაუვი.

ჩხა, კაჩხა, ვჭშალკა.

ჩხილ, ფრჩხილი, მ. ბირცხა, სავ. ცხა.

ჩხანქ, ჩხიკვი.

ცახ, ცა, ს. დეც.

ცირის, ელამი.

ციცახ, მშიშარა, გაუბედავი.

ცან, ცვილი, წმინდა სანთელი.

ცხენიძეულ, ცხენის გველი (ფერით წითელია. და  
მეტად შხამიანი).

წაბლ, მ. ჭუბური, უ, წაბულ, წ. წაბულ.

წაგიღ, მოგიგე, დაგძლიერ.

წალდ, მ. ბურჭული, ს. წალდ, უ. კიროვ, წ. კირაპ.

წაპრ (ზაბრ), ძაბრი.

წარაბაკანად, ღობემძვრალა ჩიტი. საბა სწერს: „წრა-  
პაკანი ყოველთა სირთა უმცირესია“.

წაფა, წევა, გაწევა; გაწაფული, გაჭიმული. (მოწაფე?)

წაღან, წეღან; წაღანდელ, წეღანდელი

წეჭ, წელიწადი, მ. წანა, ს. ზა, უ. უსენ, წ. სელ.

წეულად, წველა. (მაწონი); სწეულავს, სწველის.

წეურ, მწვერვალი; წეურ, წვერი, ს. ვარე (და აქედ-  
გან ვარსიმი, დალაქი).

წეუხეული, წუხელ, წ. მიჭახტა, მწუხრი.

წიგიჲ-წიგი (ჭუჭუ!), ჯუჯუ!

წივანა-ბალახ, შირაქის ბალახი.

[წილებად.]

წივაწივა, ხე რომ აღვილად გაიპატრება მრავალ ნა-  
წილვა; კიტრ დაწილა, რაც კიტრი იყო დიდწვრი-  
ლიანად მოკრიფაო; წილ, ახლად გამობმული

წიკოდ (ციკან), თიკანი, ციკანი, წახ. წეჲ. [კიტრი.

წინდად, უ. წინდაკ, წ. წინდა.

წინგერ, კენწერო-კინწირო; წინკერენა (ზღაპრებში),  
ფრინველი, კენწერ-კენწერ მიმომფრინავი.

წინტუ-ტუ, (ფრინ.)

წიპლანკ, მეტად წვრილი, წერწეტი.

წიწილად, კოწოლი, დალალი, კავები, მაწაკი, (წიწილს  
ჭუჭულს ეძახიან).

წკინვა, ბრწყინვა, მ. წკინუა, ს. კყარი (შეად. კრია-  
წკლინტ, სკინტლი. [ლა]).

წკლუნტ, აბრეშუმის ჭიის განაფალი.

წკიპარტლ, წკიპურტი.

წნეხა, გრეხა წნელისა, ვაზისა და მისთანათა, საქმედ  
დაწნიხა, საქმე გააბრუნდა, სიმართლის გზიდამ  
წოდ, მწვადი, ლეკურ. წოდ. [გადიყვანა.]

წოვედ, მწვავე.

წუმპალ, დიდი წვეთი.

წუმწუმად, ალთაფა (თათრ.).

წამად, წვიმა, მ. ჭვიმა, ს. უჩხა; (ს. ლექს. „ისხარი,  
წაწლატ, წოწოლა.“) [ჩქარი წვიმა].

წყილ, რწყილი, მ: წყირი, ს. ზისქ.

ჭანგა, ლეკთა აზნაური.

ჭიძ, მიწა ბალახიანათ აჭრილი ბარითა, დერზ.

ჭირჭიძა, მაჟალო, პანტა.

ჭიუჭიუა, ყიჭყიჭა.

ჭიჭნაგურ, ძეხვი-აპოხტი.

ჭიჭნაური, (საბას ლექსიკ: აბრეშუმი (სპარს.)

ჭკილ, ჩლიქი, ჭლიკი, მ. ჩირქი, ს. ჩილქ.

ჭლივ-ჭლივი, ჭიკჭიკი მერცხლისა და მისთანათა.

ჭრე, მჭრელი.

ჭორტკელ, მჭვარტლი.

ჭოლ, მჭვალი.

ჭროხ, ჭროლა.

ჭუღუქ, ცელქი.

ჭურმაჭუჭეხ, წვრილმანი და ჯოლლო-მოლლო ხალხი.

ხარტგა, ჭვევრის გარეცხვა, ვიდრე გაწითლდებოდეს.

ხახ, მ. ხარხვი, ს. ხახვ.

ხახრად, სარკმელი.

ხაჭევალ, საეკლე ორთითი.

ხედ, ხე; მ. ჯა, ს. ზექ, მეგამ.

ხიგხივობს, ვახნაჩრობით სცხოვრობს.

ხოვ, ხვავი, მ. ხვე, ს. ლუ-ზვერ.

ხრალ, ფურცლის (ჩაქულის) სხვილი ტოტები (ნახე  
ხულ, ხვალე. [საბას ლექსიკ.]

ხუთულ, ხუთი ხელეური.

კალებად, ხრაკვა; მოკალებულ ქათამ, მოხრაკული ქა-  
თამი (საბას ლექსიკ. „კალვა, მარცვალთ შეწ-  
ვა;“ დაამხალა, დასწვა-დასდაგა, მწვავედ სცე-  
კარზაბად, გარეული მტრედი. [მა..

კარი, მ. ხოჯი, ს. კან.

კაფეაფი, ძლიერი დუღილი.

კეპ, ხევი, უ. ხე (წყალი), წ. ჰქან.

კელეგლ, ხელეური.

კელმანდილ, მანდილი, ს. კისმანდ.

კემწიფე, მ. ხენწიფე, ს. კელწიფ \*)

კერგალ, ხირხალი.

კინცვა, შეკინცვა, მჭიდროდ ჯდომა ადამიანთა.

კმობად, ს. მანგა, მხ0.

კნა, ხვნა, მ. ხონუა, ს. ლი-კნი.

\*) ხელს მეგრულად ჰქვიან ხე და აშიტომაც ხან ითქმის  
ხე-მწიფე და ხან ხელ მწიფე.

კნულ, ხნული (ნახნავი), მ. ნახონა, ს. ლი კან \*)  
კოცა, ხოცვა, ს. ლი-კცე.  
კრუალ, მხურვალი.  
ჭაბა, აბა; ს. იალო, უ. ბელა.  
ჭადალ, ადვილი.

\*) მაქს მიულერი სწერს (Hayka о мысли, გვ. 309—310): „ფესვი khan ნიშნავს თხრა-ბარვ-ს, და ფარგალი მისის მნიშვ, ნელობისა იშომება ცნებებით: თხრა-ბარვა, წყლა, ოხრება-შეკვრა, ბარი, თაგვი, ორმო, ჭა, ცა, არა რა. khan გამეორებული ფესვია და kh თავდაპირველად უნდა ყოფილიყო sk. ფესვი skan არ ყოფილა სანსკრიტულში, ხოლო kshan, ომ-მელიც მისი მაგიერია, ნიშნავს წყლას, წყენინებას; ამავე ღრუს ფესვი kha (ska) ეკავშირება skan-ს, ომელიც ნიშნავს ჭრას.

„ახლა თუ ავიღებთ ფესვს. khan არა მხოლოდ თხრის, ე. ი. ჭრის, ნიადაგის კვეთის მნიშვნელობით, არამედ საზოგადოდ ჭრა-კვეთის მნიშვნელობით, მაშინ შეკვეძლება ავხსნათ მისგან წარმოებული სიტყვებიც:

1) მომქმედის აღმნივნელი სიტყვები: khana, khanaka (მთხრელი, ქურდი, თაგვი, თხუნელი, ულაყი ცხენი, canalis, (cuniculus), khani, khanitar, akhou (თხუნელი, თაგვი, ლორი, ქურდი).)

2) მოქმედების აღმნიშვნელი: khanana, khati.

3) იარალისა: khanayitri (ბარი), khanitra (გრდემლი), khatra.

4) შეღეგი მოქმედებისა: khana (ორმო), khani (ჭანი), khata (ორმო, ჭა), კეტოს, კეტოის, სკატა (ქვაბი), kha (ჭა, წყარო), kha (სილრმე, ორთქლი, ეთერი, არარაობა).

5) დათხრილი ადგილი: khana“

ჭახსა (რადია), რა არი.

ჭაგაჭ, აკაკი (მცენ),

ჭაჩიჩახ, აჩეჩი, კავი

ჭე, ეგე; ჰეგ, ეგ, ჰემგამ, ე მაგან.

ჭემენია (რემენია), რომელია.

ჭიშ! ხარის გასარეკი ხმა.

ჭერ, იარე.

ჭოგჭა! ჭოლ-ჭო!

ჭომობს, ისწრატის გზა გაიკატოს, იბრძვის.

ჭელვახ, ელვა; მ. ვალუა, ს. ლიჭლალი.

მიულერის თქმით, თავდაპირველად ყოფილა 121 ფესვი  
და ამათგან, ზემო მოყვანილ სახით, გამდიდრებულა ენა.

ამავე კანონის მიხედვით, ალბად, ჩვენებური ხვნა-დამ  
წარმოებულან:

ა) სიტყვანი, აღმნიშვნელი, მომქმედთა: მხუნელი (კაჭ-  
ელისენში: კნეილ), თ-ხუნელი, კარი, მეგრ. ხოჯი, სვ. კან.

ბ) სიტყვანი სამოქმედონი: კნა, ხნვა (ხუნა), მეგ. ხონუა,  
სვ. ლი-კნი;

გ) სიტყვანი საიარალონი: სახნისი, მეგრ. კინა-ხონა,  
სვ. ლენცვიშ (ლენწვიშ); (ალბად ერ-ქუანი-ც, ოქოქუც და აჩე  
ჩაც წარმოსდგა სიტყვებიდამ ქექვა, აჩეჩვა).

დ) სიტყვანი, აღმნიშვნელი შედეგისა: ხნარცვი (კნარცვი),

ე) სიტყვანი, აღმნიშვნელი ადგილისა: საკნავი (ნახნავი),  
ხნული, მეგრ. ნახონა, სვ. ლი-ჭან (კაჭ-ელისენში მოკან=  
მოხანი).

კაკ-კელისნორად. მევრულად. სვანურად.  
(ინგუშურად)

ულურად.

კაკ-კელისნორად. მევრულად. სვანურად.

მარ	[ცალ]	ეჭრუ	სა	ცა	სა	სა	ცა	ეჭრუ
არ	ქირი	ჰერი (ჰერი)	კა	ები	კვე	კვე	ხებლე	ხებლე
სამ	სუმი.	სები	ხიბ	ჯოპ	ყებ	ყებ	ეუკებლე	ეუკებლე
ოთხ	ოთხი.	ულშიხვ	ზიპ	ლიპ	ლიპ	ლიპ	კუბლე	კუბლე
ხუთ	ხუთი	ვლხევულ	კა	ფხივ	ტუ	ტუ	კიხიბლე	კიხიბლე
ეას	ეას	უსგვა	უს	კეცლებ	ეკ	ეკ	ილიბლე	ილიბლე
შად	შადი	იშვევი	ვალ	ვარ	ვარ	ვარ	გოლიბლე	გოლიბლე
რუად	რუად	არუ	ერდ	გარ	გარ	გარ	ჰუჭურ	ჰუჭურ
ცხრააჯ	ცხრააჯ	ჩხარა	ვერა	ის	ის	ის	კიწიბლე	კიწიბლე
ათ	ვთი	იუტე (ჰებე)	ვენ	ვიტ	ვიტ	ვიტ	ვიტუსაბ	ვიტუსაბ
თერთმეტ	თერთმეტ	ვითართი	საწე	საწე	საწე	საწე	კოტუსაბ	კოტუსაბ
თორმეტი	თორმეტი	ვითორმეტი	კაწე	კაწე	კაწე	კაწე	კოტიცებ	კოტიცებ
ცამეტი	ცამეტი	ვითოსუმი	ხეგებე	ხეგებე	ხეგებე	ხეგებე	კოწევულებ	კოწევულებ
თორმეტი	თორმეტი	ვითანთხი	კერძოლებე	კერძოლებე	კერძოლებე	კერძოლებე	კოწევულებ	კოწევულებ
ხუთმეტი	ხუთმეტი	ვითორმეტი	გაპეტე	გაპეტე	გაპეტე	გაპეტე	კოწევულებ	კოწევულებ

ତେବୁକ୍ଷମିଶ୍ର	ଗୋଟାର୍ମିଶ୍ର	ତେବୁଲୁହୁଗ୍ରା	ପ୍ରାଚୀର୍ଦ୍ଧ
ଶୁଳ୍ମିଶ୍ର	ଗୋଟାର୍ମିଶ୍ର	ତେବୁଲୁହୁଗ୍ରା	ପ୍ରାଚୀର୍ଦ୍ଧ
ରାଜାମିଶ୍ର	ଗୋଟାର୍ମିଶ୍ର	ତେବୁଲୁହୁଗ୍ରା	ପ୍ରାଚୀର୍ଦ୍ଧ

ତେବେଳୁ  
ତେବେଲୁ  
ତେବେଲୁ

კერამიკი	ვითოჩორი	ჰელიხიანა	ვუდი
ოცი	ქაში	ჰერევედ	საყოსა
ოცი და ერთ	ქიოლოანთი	სემებდ	საყოფა
ოცი და ათ	ქიოლოვითი	ვომთხვევდ	პაყო
ორმოც	ქარანქი	ვოხვიშ-	პაყოვ
ორმოცი და	ქარანქილო-	ვოხვიშ-	

კაბლიკ  
კავაბ  
კებწახ  
ეუკუა  
ხოჭოლ

Յանալութեան  
Յանալութեան

ეს ათასი (მილ) ანთასი ათას აში აში აში კაზარ გევე გევე ითბაც

୧୮

၁၂၈

413

5 202